GOV 5 20 00008685

06/03/2020

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

თქვენი 6 თებერვლის № 01/1411 წერილით წარმოდგენილი 2020 წელს მთავრობის მიერ დასამტკიცებელი პოლიტიკის დოკუმენტების ჩამონათვალთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტმა თითოეული წარმოდგენილი ინიციატივა განიხილა 2019 წლის 20 დეკემბრის საქართველოს მთავრობის #629 დადგენილებით დამტკიცებული „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ (შემდგომში - წესი) შესაბამისად.

წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზის პროცესში გათვალისწინებულ იქნა საქართველოს მთავრობის პროგრამა, მთავრობის მიერ დამტკიცებული მიმდინარე ეროვნული და სექტორული პოლიტიკის დოკუმენტები და პოლიტიკის სისტემისა და კოორდინაციის რეფორმის ძირითადი პრინციპები, რის საფუძველზეც გიგზავნით შემდეგ რეკომენდაციებს:

- **ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების სტრატეგია** - აღნიშნული სტრატეგია განიხილება, როგორც ერთიანი, გრძელვადიანი პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დაფარავს ყველა დარგობრივ მიმართულებას, მათ შორის, ქვემოთ დასახელებულ სექტორულ, თუ ქვე-სექტორულ პოლიტიკის დოკუმენტებს. ამასთან, მნიშვნელოვანია, დაკონკრეტდეს როგორც სტრატეგიის, ასევე სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდი. დოკუმენტი გათვალისწინებული იქნება 2020 წლის მთავრობის პოლიტიკის დოკუმენტების გეგმაში (შემდგომში - გეგმა) და მასზე გავრცელდება წესით გათვალისწინებული მოთხოვნები და სტანდარტები.

- **საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტი** - მნიშვნელოვანია დაზუსტდეს პოლიტიკის დოკუმენტის ტიპი (სტრატეგია, კონცეფცია, სამოქმედო გეგმა). ამასთან, მნიშვნელოვანია, დაკონკრეტდეს როგორც სტრატეგიის, ასევე სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდი. დოკუმენტი გათვალისწინებული იქნება გეგმაში და მასზე გავრცელდება წესით გათვალისწინებული მოთხოვნები და სტანდარტები.

- **საქართველოს ერთიანი ჯანმრთელობის სტრატეგია 2021-2025;**
- **უანგარო, რეგულარული დონორობის პოპულარიზაციის საკომუნიკაციო სტრატეგია;**

- საქართველოში ტყვიის ტოქსიკური ზემოქმედების კონტროლის სტრატეგია და ერთიანი მულტისექტორული ხანგრძლივვადიანი სამოქმედო გეგმა;
- საქართველოს თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგია 2020-2025;
- საქართველოს აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგიული გეგმა;
- ტუბერკულოზის კონტროლის ეროვნული სტრატეგია;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგია.

იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული ზემოთჩამოთვლილი პოლიტიკის დოკუმენტების თემატიკა უმეტესწილად დაფარული იქნება „ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების სტრატეგიაში", დამატებითი ადმინისტრაციული რესურსისა და პოლიტიკის დოკუმენტების ინფლაციის პრევენციის მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ ისინი ინტეგრირდნენ „ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების სტრატეგიაში" (შესაძლებელია განხილულ იქნას სტრატეგიის დანართების სახით ჩამოთვლილი დოკუმენტების წარმოდგენაც).

იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო/ადგილობრივი ვალდებულების გათვალისწინებით ინტეგრირება ნაკლებ შესაძლებელია, რეკომენდებულია, პოლიტიკის დოკუმენტები დამტკიცდეს მინისტრის ან შესაბამისი სსიპ-ის ხელმძღვანელის ბრძანებით.

- საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის ეროვნული სამოქმედო გეგმა;
- საქართველოს დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის 2017-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2020-2022 წლების სამოქმედო გეგმა;
აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტები გათვალისწინებული იქნება გეგმაში, თუმცა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის #629 დადგენილების შესაბამისად, 2020 წლის 1-ელ იანვრამდე დამტკიცებულ პოლიტიკის დოკუმენტებზე არ ვრცელდება წესით გათვალისწინებული მოთხოვნები და სტანდარტები.

- ბავშვის მიერ ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი სტანდარტით სარგებლობის უფლების განხორციელების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა - მნიშვნელოვანია, დაკონკრეტდეს როგორც სტრატეგიის, ასევე სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდი. დოკუმენტი გათვალისწინებული იქნება გეგმაში და მასზე გავრცელდება წესით გათვალისწინებული მოთხოვნები და სტანდარტები.

- იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული (ეკომიგრანტი) ოჯახებისათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგია
დამატებითი ადმინისტრაციული რესურსისა და პოლიტიკის დოკუმენტების ინფლაციის გამორიცხვის მიზნით, მნიშვნელოვანია, მოხდეს აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტის ინტეგრაცია დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიაში, რომელიც არ განახლებულა 2007 წლის შემდეგ და რეკომენდირებულია მოხდეს მისი გადახედვა და არსებულ საჭიროებებთან მორგება.

იმ შემთხვევაში თუ საერთაშორისო/ადგილობრივი ვალდებულების გათვალისწინებით ინტეგრირება ნაკლებ შესაძლებელია, რეკომენდებულია, პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცება მოხდეს მინისტრის და სსიპ-ის ხელმძღვანელის ბრძანებით.

- იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2019-2020 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2566 განკარგულებაში ცვლილებები

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის #629 დადგენილების შესაბამისად, 2020 წლის 1-ელ იანვრამდე დამტკიცებულ პოლიტიკის დოკუმენტებზე არ ვრცელდება წესით გათვალისწინებული მოთხოვნები და სტანდარტები. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებები შესაძლებელია განხორციელდეს 2020 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი წესის შესაბამისად. რაც შეეხება აღნიშნული სამოქმედო გეგმის სტრატეგიას, გთხოვთ კომენტარი იხილეთ ზემოთ.

ზოგადი რეკომენდაციების სახით გაცნობებთ, რომ:

- მნიშვნელოვანია შემუშავდეს სოციალური დაცვის სისტემის (ისევე როგორც ეს იგეგმება ჯანდაცვის სფეროში) განვითარების ერთიანი გრძელვადიანი პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დაფარავს ყველა დარგობრივ მიმართულებას, მათ შორის, ზემოაღნიშნულ სექტორულ, თუ ქვე-სექტორულ პოლიტიკის დოკუმენტებს.
- პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილ იქნას მჭიდრო კომუნიკაცია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან, რათა დაგეგმვის ეტაპი წარიმართოს წესის მოთხოვნების შესაბამისად.
- პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნას, საქართველოს მთავრობის #629 დადგენილებით დაწესებული ყველა სავალდებულო მოთხოვნა.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე
სახოკია გიორგი